ყოველწლიური მეცხრე.—№ 452

პარასკევი, 6 დეკემბერი, 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

# დროება

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

განცხადება კალენდრის გამოსვლაზე.—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ექიმი თუ საექიმო გაზეთი?—წვრილი ამბები.—„დ რ ო ე ბ ი ს“ კორრესპონდენცია: სამეგრელოდამ.—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები.—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი,—ოსმალეთი.—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ: დავით სოსლანის და დავით ნარინის გამეფება.—ნ ა რ ე ვ ი.—განცხადებანი.

ფ ე ლ ტ ო ნ ი: ენების გასამართლება—აკაკისა.—

**გამოვიდა** და ვართანოვის წიგნის მაღაზიაში **ისყიდება** ქართულ ენაზე შედგენილი მმართლ-მადიდებელთა, ფრანგთა და სომეხთა

**პატარა**
**დ რ ო ე ბ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი**
ფასი ყველგან სამი შაური.

# საქართველო

## ექიმი თუ საექიმო გაზეთი?

კავკასიის საექიმო საზოგადოების უკანასკნელს პროტოკოლში დაბეჭდილია „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორის, უფ. პეტრე უმიკაშვილის, წერილი, რომელშიაც საზოგადოებას ეუბნება, რადგანაც თქვენ სჯა გაქვთ სახალხო საექიმო გაზეთის გამოცემაზე, ამისთვის, თუ შესაძლოდ დაინახავთ, შეგიძლიანთ იმ საექიმო განყოფილებით ისარგებლოთ, რომელიც ჩემი გაზეთის პროგრამმაში არისო. საზოგადოებას შეუძლიაო, განსაღვროს „სასოფლო გაზეთის“ რედაქციასთან დამოკიდებულება და ისე ისარგებლოს ამ გაზეთით, როგორც უკეთესად მიაჩნდესო.

ეს უფ. უმიკაშვილის წინადადება კავკასიის საექიმო საზოგადოებას ცალკე კომისიისთვის მიუნდვია განსახილველად.

რასაკვირველია რომ მდაბიო ხალხისათვის ადვილად გასაგები და იაფი საექიმო გაზეთისა და აგრეთვე წიგნებისა და პატარა ბროშურების გამოცემა ძალიან საჭირო და გამოსადეგი იქნება.

მაგრამ ვინც ახლანდელი ჩვენი ხალხის გონების გახსნას, იმის ცრუ-მორწმუნებას და საზოგადო ცხოვრებას დაკვირვებია, არ შეიძლება არ დათანხმდეს, რომ ბეჭდვის სიტყვას ჯერ-ჯერობით თავის დღეში არ ექნება ისეთი ძალა, ისეთი გავლენა ამ ხალხზე, როგორც ცოცხალ სიტყვას და თვით საქმეს. ყოველივე საექიმო და გიგიენური დარიგება, რომელიც გაზეთებში და წიგნებში იქნება დაბეჭდილი, ისე კარგათ, ისე პირ-და-პირ ვერ მიაწევს ხალხის ყურამდინ, ამ დარიგებებით ისე ადვილად ვერ ისარგებლებს ხალხი, როგორც ერთი უბრალო სოფლის ექიმის დარიგებითა და პრაქტიკული წამლობით.

დიდი ყურადღების ღირსია ეს საქმე. სხვა არა იყოს რა, გადახედეთ ჩვენი გაზეთის ნომრებს: ყოველს სამს ნომერში უკანასკნელ ერთ კორრესპონდენციას მაინც შეხვდებით, რომელშიაც აწერილია, თუ სოფლის ექიმებისა, მკითხავებისა და მარჩიელებისაგან რამდენი უბედურება, რამდენი ზიანი და საძაგლობა ხდება მუდამ ჩვენს ხალხში.

თუ კავკასიის საექიმო საზოგადოებამ სახალხო საექიმო გაზეთი და წიგნები გამოსცა, იმას მეტი თითქმის არაფერი არ მოეთხოვება. მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით, ეს არ კმარა ხალხის ჯანმთელობის დასაცველად.

ჩვენი აზრი ის არის, რომ ამ უბედურებაში, რომელსაც მარტო ხალხის ჯანმთელობაზე კი არა—იმის სიღარიბეზედაც დიდი ზედ-მოქმედება აქვს, რომ ამ უბედურებაში ხალხს ყველა ნაბეჭდ გაზეთებზე და წიგნებზე უფრო მომეტებულად ერთი საექიმო ან თვით საფერშლო შკოლა დაეხმარება. ისეთი შკოლა, რომელშიაც განსაკუთრებული სოფლის ექიმები და ცრუ-მორწმუნე ხალხისათვის ონიერი რჩევისა და დარიგების მიმცემნი გამოიზარდონ. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ექიმები და დამრიგებლები თვითონ ადგილობრივი მცხოვრებელნი უნდა იყვნენ, რომელთაც კარგათ იცოდნენ ერთის მხრით ჩვენის ბუნების ხასიათი და მეორე მხრით ჩვენი ხალხის შეძლება, ცხოვრება და ჩვეულება. უცხო ქვეყნიდამ მოსულ კაცს ის ნაკლულევანება აქვს, რომ არც ჩვენს ქვეყანას იცნობს, არც ჩვენს ხალხსა. ამას გარდა იმას მდაბიო ხალხი გულწრფელად არასოდეს არ დაენდობა, არ დაუჯერებს.

მერწმუნეთ: ერთი ამ გვარი უბრალო ექიმების გამომზრდელი შკოლა ათჯერ უფრო მომეტებულ ნაყოფსა და სარგებლობას მოუტანს ხალხს, ვიდრემ ათი ესრედ წოდებული სახალხო საექიმო გაზეთი და ასი წიგნი....

ს. მესხი.

---

აი, ის წერილი უფ. პ. უმიკაშვილისა, რომელიც ზევით არის მოხსენებული:

„რადგანაც კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოება ჰფიქრობს ისეთის საექიმო გაზეთის გამოცემას ხალხისათვის, რომელმანც უნდა გაავრცელოს ხალხში, გასაგებს ენაზედ, საექიმო და გიგიენური ცნობანი, ამისგამო ქართული „სასოფლო გაზეთის“ რედაქციას პატივი აქვს შემდეგი მოგახსენოსთ:

„ქართული „სასოფლო გაზეთი“ 1868 წლიდამ იბეჭდება. იმაში არის განყოფილება სახალხო ექიმობისა, რომელშიაც ხალხის ჯანმთელობისათვის უსაჭიროესი და უადვილესი ცნობანი იბეჭდება. აგრეთვე პირუტყვების წამლობაც.

„შვიდი წლის განმავალობაში „სასოფლო გაზეთი“ ბეჯითად ასრულებდა თავის პროგრამმას; იმაში, სხვათა შორის, დაიბეჭდა თარგმანი უფ. სობოლსჩიკოვის თხზულებისა: „საუკეთესო ცოდნა“, რომელიც გასაკვირველად გავრცელდა ხალხში.

„რედაქცია „სასოფლო გაზეთისა“ მიიღებს რა ერთის მხრით ყურადღებაში ამ საექიმო ცნობათა გავრცელების საჭიროებას და მეორის მხრით კავკასიის საექიმო საზოგადოების ცოტა შეძლებას, წინადადებას გაძლევსთ, თუ საჭიროდ დაინახავთ, ისარგებლეთ ამ გაზეთის საექიმო განყოფილებითა და განსაზღვრეთ დამოკიდებულება თვით გაზეთსა და თქვენს საზოგადოებას შუა.“

***

ჩვენ გავიგეთ, რომ რამდენსამე პირს თფილისში ლამბარდის გამართვა განუზრახავთ, ე. ი. ისეთი დაწესებულებისა, სადაც ფულის მეძიებელ ხალხს ყველაფრის დაგირავება შეუძლია, თუ კი რამ გააჩნია. ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში ისე გამრავლდნენ სხვა და სხვა გვარი დაფარულად ფულის მსესხებლები, თუ მესაათე ურიები და თუ სხვები, რომელნიც გირაოს იღებენ და თვეში მანეთზე ორ შაურს ახდევინებენ, რომ ამ ლამბარდის გამართვა, თუ დამფუძნებელთა ცოტათი მაინც უფრო სინიდისიანათ წაიყვანეს საქმე, სწორეთ დიდ სარგებლობას მოუტანს გაჭირვებულ ხალხს.

***

---

# ფელტონი

## ენების გასამართლება

სასამართლოში სხედან მსაჯულები: შუაში ჭირნახული და მრავალ-ჭრილობიანი მოხუცი ქართლოს, გვერდით, იქით და აქეთ უფრო ახალგაზდები: იმეროს და ამეროს. შემოაქვსთ სამი ენა: ერთი უთავბოლოთ მრგვალია, ას-ლიტრიან ლანგარზედ ძევს და წინ, ხელში ნოეს ყავარჯნით, ერთი ახმახი ადვოკატი მოუძღვის.—მეორე უშნოთ პრტყელია, გაუშალაშინებელ-ხონჩაზედ ძევს და თან ვიღაც ახალ-ნამძინარევი, ნებიერი ადვოკატი მოჰყვება. — მესამე წვრილია, პატარა ფინჯანზედ აგდია და გვილის კუდივით საქსაქებს; უკან მოსდევს ჯარახავით მბრუნავი ადვოკატი.—

მ ს ა ჯ უ ლ ი. დღეს უნდა მოვისმინოთ თქვენი საჩივარი და გადავსწყვიტოთ, თქვენ სამში თუ რომელს უნდა დარჩეს უპირატესობა. და, გთხოვთ, თვითეულმა თქვენგანმა წარმოგვიდგინოს თავ-თავისი საბუთები!.. პირველი სიტყვა თქვენია უფ. ახმახო!

ა ხ მ ა ხ ი. ჰოი, შენ ბრძენო, სიბრძნისა ტახტსა ზედა სოლომონისასა, ზე თხემთა თხემთა მახვილ-განმაწონად აყვანილო! მანუკველი თქვენ მიერ სამართლისა, მოველტვი კვარცხ-ბეკისადმი ფერხთა თქვენთა, და ნატვრეალთა ნაწილად მიმღები გილალადებ, და ყურად-იხვენ ვედრებანი ჩემნი!..

მ ს ა ჯ უ ლ ი. ბრძანეთ!.. ნუღა აგვიანებთ სიტყვის შესავალით!-დრო ბევრად გვილირს.

ა ხ მ ა ხ ი. მოთმინებითა სულისა მომპოვებელი, ვიწყებ უბნობად: ორღანო იგი სახმარ გამოსამეტყველებლად ჰაზრთა დ ვნებათა ჩვენისა გულისათა, რომელიცა წოდებულ არს ენად, შეურაცხ-ყოფილ იქმნა ხელთა შინა ივერიელთასა: წარმოსდგნენ ორნიცა სხვანი ენანი, დღეს აქა, თქვენს წინაშე მდებარენი, საშუღლოდ ამა ენისა (თითით ანიშნებს გრგვალ ენაზედ), რომელიცა გამოელვარებულ არს ბრძმედისაგან მეტყველებისა ირისებრ, გნომ არს ენათა შორის ორღანო ესე. ენითა ამით მეტყველ-იყო შავთეველ ჩახრუხითურთ მშვენიერ-ლექსად. ამავე ენითა ღ-ღადებდა ბრძენ, რიტორ, პიიტიკოს ანტონ ზაიოსითურთ...

მ ს ა ჯ უ ლ ი. სხვა გვარი თვისება?

ა ხ მ ა ხ ი. განსხვავებითი თვისება ამა ენისა არს ერთის ხმითა მრავალ ჰაზრთა გამოსთქმად.

მ ს ა ჯ უ ლ ი. გამოარკვიეთ! რაგსურთ მაგითი რომ სთქვათ?

ა ხ მ ა ხ ი. ერთი ლექსი შეიცავს მრავალთა ჰაზრთა, რომელთაცა წარმოდგენით ახსნიან.

მ ს ა ჯ უ ლ ი. კიდევ სხვა ღირსება?

ა ხ მ ა ხ ი. ის რომ ენა ესე გასაგონ არს მხოლოდ რჩეულთათვის და არა საზოგადოდ. ოდესცა, შემდეგ ლიტურღიისა, დღესა ერთსა, უბნობად ჰყვეს კათალიკოსმა ანტონ და მიტროპოლიტმა ბოდბელმა, ერი ვერა გამგები ვერცა ერთისა მარცვლისა მათ მიერ თქმულისა, სდუმდა საკვირველებითა. ამგვართა მაგალითთა ძალგვიძს წარმოდგენად ლეგეონი, გარნა მრავალ-მეტყველებითა არა სცხონდინ. მცირითაცა მით რაცა თქმულ იქმნა ჩვენ მიერ, საგულისხმო არს, რათა ენანი ესენი, უკანონოდ შობილნი ნიადაგსა ზედა ქართლოსიანთასა, განდევნილ და განკიცხულ იქმნენ ამიერითგან.—

მ ს ა ჯ უ ლ ი. (მიუბრუნდება ნებიერს ადვოკატს.) რა პასუხს აგებთ?

ნ ე ბ ი ე რ ი. (ზარმაცად.) ამოდენი ხანია ყურს უგდებ, მაგრამ, თქვენმა მზემა, ჯერეც ვერ შევიტყე თუ რა ჰნებავს, რომ გვიბრძანოს მაგ დალოცვილმა. თქვენმა მზემაცა, კათალიკოზი აღარ მაასვენა და შავთეველი. ეჰ ტიალი, რაღაც ჯანი ბეჟანის დროს, მოგვეხსენებათ ადამის წინეთ რომ ი პირველი კაცი გვლებიათ, თქვენ კი უნდა, მოგეხსენებოდეთ, იმ კაცის ენა ყოფილა, ეხლა რაღა მოსაგონებელია! მ მაგ ენისა ხელ-ახლად დაწყობა მურვან-ყრუობა არ იქნება, მა რა? მე მაგის თავი არა მაქვს! რაც გნებოს, ის უყავით!

მ ს ა ჯ უ ლ ი. (მბრუნავს.) შენ რაღას იტყვი?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. რა უნდა მოგახსენო, ბატონო?.. მოცლია მაგ დალოცვილს და ლომის საცეხვივით ბაყა-ბუყი გააქვს, თვარა საფლავის ენა რაღა გასაცოცხლებელია. ერთს ლექსში ბევრი აზრი გამოვა, თუ კაცი წარმოიდგენსო და, კი ბატონო, მარა წარმოდცენით რავა იქნება? რასაც წარმოიდგენს კაცი ტყვილა ხმაში, ის გამოვა. აბა, ბატონო, თქვენ დაუგდეთ ყური ზარის რეკას, თუ იმაში: „წადი, წადიც!“ არ გაიგონოთ და „მოდი, მოდიც!“ არ გაიგონოთ. ასე ყოფილა ეგ ენაც. და ან რაღასთვის და ვიღასთვის არის საჭირო ის ენა, რომელსაც ვერც ბერი გაიგონებს და ვერც ერი?!

მ ს ა ჯ უ ლ ი. კიდევ თუ რამე გაქვსთ დასამატებელი, დაამატეთ, თორემ აწ განჩინებას შევადგენთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი. შეადგინეთ.

მსაჯულები ადგენენ შემდეგს განჩინებას: „რადგანც ეგ მშვენიერი ენა ხაქოს ალარავის ეყურება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, რომ ჩვენი ქალაქის დრო-გამოშვებით გამოცემაებს მომავალი წლიდამ ერთიც მოემატებაო: უფ. ტერ-გაბრიელიანცი (ის, რომელმაც ვითომ ქართულ-ფრანცუზული ლექსიკონი გამოსცა) და კიდევ ერთ ვილაც სხვა იანცი რუსულ-ქართულ-სომხურ ენებზე (დიახ, სამს ენაზე ერთად!) გაზეთის გამოცემას აპირებენო... აი თუ გამდიდრდეს ჩვენი პერიოდული ლიტერატურა!..

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ერთ დროს იქ მივიწყებული ლოტოს თამაში ამ უკანასკნელ დროს ისევ გაცხარებულა, და ქუთაისის მანდილოსნები ამ საქმეში დიდს ერთგულებას იჩენენო; ორი-სამი მოთავე ქალი ჰყავს ქუთაისის მშვენიერთა სქესის გროვასო და ამათი განკარგულებით, ყოველ ღამე თუ არა, კვირაში სამჯერ მაინც ხან ერთთან და ხან მეორესთან დანიშნულია ლოტოს საღამოო...

* * *

იგივე კორრესპონდენტი ქუთაისის საზოგადოების მხრით დიდ მადლობას უძღვნის უფ. კარენიანცს, რომელიც ყოველთვის, წარმოდგენების დროს, სცენას მმართავს და სხვა ყველაფერში უსასყიდლოდ ხელს გვიმართავსო.

* * *

როგორც სჩანს, ქუთაისში ახალი ტიპი გაჩენილა ადვოკატებისა. კორრსპონდენტი გვწერს, რომ ის ადვოკატები, რომელთაც, ახალი კანონის წესით, მოწმობის მიღება ეღირსათ, ისე გაბერვით და ამაყათ დაიარებიან, თითქო ქვეყანა ამათ ხელში იყოსო. ამათ ჩვენს ქალაქში „ახალ გამომცხვარ ადვოკატებს" ეძახიანო...

* * *

ოჩამჩირიდამ გვაცნობებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ოქუმში რამდენიმე ლაზი გადმოესახლაო და მთელი ვაჭრობა იმათ ჩაიგდეს ხელშიო. ჩვენი მოამბის წერილის კილოდამა სჩანს, რომ ის ძალიან გულნაკლულად უნდა იყოს ამ ლაზებზე; კაცს ეგონება, თითქო იმათ ჩვენს მოამბეს ვაჭრობა გამოაცალეს ხელიდამაო...

* * *

სურამიდამ გვწერენ, რომ დედა-მიწაზე ყველაფერი კეთდება, ყველაფერი წარმატებაში მიდისო, მაგრამ ჩვენი ძველთაგან ძველის ქალაქის ქუჩებისა და ბაზრის გასწორებას კი არა ეშველა რაო. ცოტა წვიმა რომ მოვიდეს, ისეთი ტალახი დგებაო განსაკუთრებით იმ უბნებში, საცა ურიები და სომხები დგანანო, რომ ქვევითი კაცი სწორეთ მუხლებამდი ჩაეფლებაო.

— შვილო, ზურაბ, სადამდინ?
„ვაიმე, დედავ, მუხლამდინ!

თუ დიდი წვიმები მოვიდა და დიდხანს გასტანა, მაშინ ასე:

— შვილო, ზურაბ, სადამდინ?
ვაიმე, დედავ, ყელამდინ!

* * *

„მოსკოვის უწყებები" გვაცნობებს, რომ, მმართებლობის ახალი განკარგულების ძალით, ყველა ის საქმეები, რომელიც ფოთი-თფილისის გზაზე უბედური შემთხვევების გამო ატყდებაო, კავკასიის ოლქის სასამართლოებს ექვემდებარებაო.

* * *

რამდენთამე პირთა გვკითხეს: რას უნდა მიეწეროსო, რომ „სასოფლო გაზეთი" ეს თითქმის სამი თვე თავდება არ გამოდისო. ეს კითხვები ხსენებული გაზეთის გამომცემლისა და რედაქტორისათვის წარგვიდგენია...

## „დროების" კორრესპონდენცია

სამეგრელო 27 ნოემბერს.

ჩვენ დიდი სარგებლობის მოტანას მოველოდით ფოთი-თფილისის რკინის გზის გაკეთებიდგან, მაგრამ ლოდინმა ცუდათ ჩაგვიარა. ჯერ-ჯერობით ამ გზამ არათუ ასარგებლა ჩვენი სოფლის მცხოვრებლებს, არამედ დიდი ზიანი მიაყენა: რაც რკინის გზაზე შემოსავალია, ადრე თითქმის სულ ჩვენში რჩებოდა, ამისთვის რომ რაც ეხლა რკინის გზით საქონელი მიაქვსთ ან მოაქვსთ, ეს სულ ჩვენებურ ხარ-ურმით და ფურგუნებით დაქონდათ; და ესენი რამოდენიმე ნაწილს თავის ქარისას სოფლებში სტოვებდნენ და ამ გვარად ფული ისევ სოფლებში რიგდებოდა აქა-იქ. ახლა კი ეს ფულები სულ სხვის ხელში მიდის.

ეს კიდევ არაფერი; მაგრამ რკინის გზის სტანციების სიშორემ კი გაუჭირვეთ საქმე მცხოვრებლებს; ზოგი სოფლელი იძულებულია, რკინის გზის ახლოც რომ იყოს, მაინც ოცი ხან მეტი ვერსი თავის ხარ-ურმით გაიტანოს საქონელი, სანამ სტანციაზედ მიიტანდეს. ამას კიდევ მიუმატეთ ცუდი გზები და უხიდო მდინარეები.

თითქმის უმეტესი ნაწილი იმ სოფლებისა, რომლებზედაც გაივლის რკინის გზა, როგორც ზევით ვთქვი, მოკლებულია იმ სარგებლობას, რომელსაც იგინი მოელოდნენ; მაგრამ მაგალითათ მოვიყვან მხოლოდ იმ სოფლებს, რომლებსაც ერთი მხრით სტანციების სიშორე და მეორეს მხრით მდინარეების უხიდობა დიდ ზიანს აძლევს. ეს სოფლები არიან: აბაშა, სუჯუნა, კვათანა, ნაესაკოვი და კოლორი, რომილიც სულ შესდგება ოცი ათასი კომლი. ამ სოფლებიდგან, დიდის წვალებით, გადის ასი ათასი ფუთი სიმინდი და აბრეშუმი და ამაზე მეტი საქონელი იმავე წვალებითა და გაჭირვებით შემოაქვთ, ამისთვის რომ იმ სტანციებზე, სადაც უნდა მიიტანონ ეს საქონელი, რამოდენიმე ვერსით დაშორებულნი არიან ამ სოფლებს მცხოვრებლები და დაშორებულიც რომ არ იყვნენ, მაინც ისეთი მდინარეები (აბაშა, ცხენის-წყალი) აქვსთ გასავლელი, რომ ამაზე არც ხიდია და ხანდისხან არც პორომის დ ძვრა შეიძლება.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა მიამბო, რომ სოფლელებმა სთხოვეს ფოთი-თფილისის რკინის გზის უფროსს, რომ სადმე სამტრედიასა და ახალ-სენაკის სტანციების შუა ნახევარი სტანცია გაეკეთებიათ, და ეს კიდევაც დათანხმდა. დანიშნა სტანციის სახლისთვის ადგილი და სახლი ააშენეს. მაგრამ ეს ნახევარი წელიწადი გავიდა, და კაცი არ ხსნის სტანციას. მგონი, სანამ კიდევ ერთი ორი კაცი არ დაიღრჩობა *) წყლებში, მანამ სტანციას არ გახსნიან. ამისთანა ნახევარი სტანციების გახსნა არათუ მარტო ამ სოფლებისთვის სასარგებლო იქმნება, არამედ ყველა იმ სოფლებისთვის, რომლებიც დაშორებულნი არიან სტანციებზე.

ანთიმოზი

*) ამას წინეთ ცხენის-წყალში დაიხრჩო ერთი ქუთაისიდგან მომავალი ხაშაშურიძე და ერთი მეგრელიც ზამთარში გამოვიდა მდ. აბაშაში, გაცივდა და მოკვდა. ავტ.

# რუსეთი

ოქტომბრის 18-ს ხერსონში ყოფილა კრება გუბერნიის თავად-აზნაურებისა. პირველს სხდომაზედვე ჩამოვარდნილა ლაპარაკი შემდეგ საგანზე: უჩინო თავად-აზნაურებს აქვთ კანონით კენჭი და შეუძლიანთ კრებაში მონაწილეობის მიღება თუ არა? რადგანაც ამაზე ადრეც ჰქონიათ სჯა, დეპეშით ეკითხათ შინაგანი საქმეების მინისტრისათვის და ამასაც პასუხი მოეწერა, რომ „კენჭის ყრაში მონაწილეობის მასალებად, 34 მუხლის ძალით, საჭიროა ნამდვილ სამსახურში მიღებული ჩინიო;" ამის გამო ხერსონის თავად-აზნაურობის კრებამ ამ სხდომაზედვე გადაწყვიტა: მართებლობასთან ვიშუამდგომლოთო, რომ ყველა თავად-აზნაურს, თუნდაც უჩინო იყოს, ჰქონდეს კენჭი, თუ კი ან სამსახურშია და ან სწავლის დიპლომი აქვსო.

ცნობა ყურადღებაში მისაღები ჩვენი თავად-აზნაურობისათვის....

* * *

ჟიზდრინის საერო კრებას გადაუწყვეტია, მმართებლობასთან ვიშუამდგომლოთ, განკარგულება მოახდინოსო, რომ ყველა ჩვენი უეზდის დედ-მამები, ვისაც კი შვილი ჰყავს, ვალდებულნი შეიქნენ, თავიანთი შვილები შკოლაში გამოგზავნონ ანუ შინ ასწავლონ წერა-კითხვაო. ამასთანავე კრებას კიდევ ახალი ხუთმეტი სასოფლო შკოლის გამართვა გადაუწყვეტია თავის უეზდში.

* * *

იმ საერო კრებაში, რომელიც გასული ოქტომბრის დამლევს იყო მურომში (ვლადიმირის გუბერნიაში), დეპუტატებს ბევრი მოლაპარაკების შემდეგ, დაუდგენიათ განჩინება, რომ ვეცადოთ, ჩვენი უეზდის ქარხანებისა და ფაბრიკების პატრონებს ძალა დავატანოთ და ახალგაზდა მუშებს დიდხანს ნუ ამუშავებენო; კანონად უნდა დაიდვასო, რომ 8-დამ 15 წლამდი მუშა დღეში რვა საათზე მომეტებულს არ უნდა მუშაობდესო და 15-დამ 18-მდი ათს საათზე მეტსაო.

* * *

წასულ ნოემბრის 20 ს შესრულდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც რუსეთში ახალი

---

ცოდვა არის, რომ ტყვილად გაფუჭდეს და ამისთვის უმჯობესია საიქოს გაიგზავნოს! გაიყვანეთ! მშვიდობით წარვედინ!.. „მრგვალი ენა გაქვსთ და ახმახი თვალ-ცრემლიანი მისდევს უკან ბუტბუტით: „ჰოი ჟამნო და ჰოი ზნეობანო!.. მშვიდობით!.. აქ ჩვენ უცხონი ვართ!" მაყურებლები აცილებენ გალობით: „განუსვენოს იქ, სადაცა მართალთა სულნი განისვენებენ."

მ ს ა ჯ უ ლ ი. (მიუბრუნდება ნებიერსა და მბრუნავს.) რახანც რომ ის ახირებული მათუსალა გავისტუმრეთ, აწ თქვენ ორზედ მოდგა საქმე: რომელი რომელს უჩივით და რას?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. მე, ბატონო, არც არავის უჩივი და ტყვილა ნურც ვინმე მიჩივა.

მ ს ა ჯ უ ლ ი. მაშ თქვენ სჩივით?

ნ ე ბ ი ე რ ი. დი...ა..ხ! მე გახლავარ გულნაკლებათა და მე ვჩივი!..

მ ს ა ჯ უ ლ ი. რას?

ნ ე ბ ი ე რ ი. რასადა, აი, შენ ხარ ჩემი ბატონი და ამასა რომა, გადმოეხეტა კორტოხსა იმერული ენა და აღარ გვასვენებს, იმერულათ უქცევს კილოსა!

მ ს ა ჯ უ ლ ი. მართალია? (მიუბრუნდება მბრუნავს.)

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. კი ბატონო! მაგას რაღა კითხვა უნდა: თუ იმერული ენაა, იმერულათ უნდა უქციოს კილო, აბა როგორ იქნება! ეგ იმასა ჰგავს, რომ ავიჩემოთ: მტრედი იმერეთიდამ მოფრენილი თფილისში, რატომ მტრედობს და არა ყვავობსო.

ნ ე ბ ი ე რ ი. აი, ბატონო, არ კი მოგახსენეთ, რომ ენა ქართული წარყვნეს იმერულითა მეთქი! ეხლა ხომ თქვენცა ხედამთ, თვითონაც გამოტეხილია!..

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. იმე, ვაჟო! ქვე რა უყოთ მერე! შენ ეს გვაბრძანე, თუ რითია ცუდი ენა იმერული! რას უწუნებ?

ნ ე ბ ი ე რ ი. (სიცილით) როგორ თუ რას ვუწუნებთ! იმასა რომა არ არის ქართული და არც მწერლობაში შემოსაღებია. მაგალითად სასაცინონი არ არიან ეს ლექსები: „კი, ქვე, იმე, ვაჟო, შუკა, ყვინთი, ყე, ცხიკვება" და სხვ?...

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. მაგ სიტყვების დაწუნების კი რაღა უნდა მოგახსენოთ. ეგენი რუსთველსა აქვს ნახმარები თავის „ვეფხვის ტყაოსანში" და იმას გარდაც სხვა ძველი დროს მწერლებიც ხმარობენ.

ნ ე ბ ი ე რ ი. რა უყოთ მერე და! ეგ კიდევ არაფერ შეადგენს. მართლია ე ეგ სიტყვები უხმარია რუსთველსა, მაგრამა ეგ იმასა ნიშნავს, რომა იმას კარგათ სცოდნია ყველა მაზრების ენა და ხმარობს მათ ისე, სხვათა შორის, და არა ვითარცა ნამდვილ ენასა და ენის სამკაულსა.

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. ვინ მოგახსენათ? აი, ეგ რას ნიშნავს: იმ დროს როდესაც რუსთველი არსებობდა, საქართველო შეადგენდა ერთს სამეფოს, და არ იყო განაწილებული სხვა და სხვა სამთავროებათ; ენაც ერთი ჰქონდათ, ე. ი. ის ენა, რომელიც რუსთველს უხმარია. შემდეგ საქართველო დაეცა, განაწილდა სამთავროებათ სამეფო; ხშირად ერთი სამთავრო იყო ხოლმე გარეშე მტრის მონებისა და გავლენის ქვეშ, მაშინ როდესაც მეორე თავისუფლათ რჩებოდა. ამგვარად დამონებულს სამთავროში, რომელიმე ქართული ლექსები იკარგებოდა და მის ნაცვლად სხვა უცხო სიტყვა შემოდიოდა. მაშინ როდესაც დაუმონებელ სამთავროში კი რჩებოდა ის სიტყვა. ასე ამგვარად შეიფარეს თავი სხვა და სხვა სიტყვებმა სხვა და სხვა საქართველოს კუთხეებში და სამთავროებში. დღეს ჩვენი ვალია, რომ ის სიტყვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნჯეში და არა გავსდევნოთ მხოლოდ მისთვის, რომ იმ ლექსს ქალაქში კინტოები არ ხმარობენო...

ნ ე ბ ი ე რ ი. (მაცხარებით სიტყვას აწყვეტინებს) მაგას ჩვენ არ დავსდევთ! აბა რა სიტყვაა, თქვენს მზესა, „კი"! მაშინ როდესაც ჩვენ ვხმარობთ უკეთესს ლექსს, „დიახს!"

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. ვინ მოგახსენათ, რომ უკეთესიაო? ცუდი მაშინ იქნებოდა სიტყვა „კი", რომ ქართულ ენის კანონებს ეწინააღმდეგებოდეს... სიტყვა „დიახ" ნიშნავს დასტურის მიცემას. აგრეთვე სიტყვა „კარგი" ხშირად ნიშნავს ლაპარაკის დროს დათანხმებას და დასტურს. ქართული სიტყვები ხშირად მოითხოვენ დაქარაგმებას შესამოკლებლად; ასე რომ მრავალ მარცლოვანი ლექსი ხდება ერთ მარცლოვანად. ეს ენის თვისება არის. ამავე ენის თვისების ძალით, სიტყვა „კარგი" მოკლდება და იცვლება ჯერ „კაი" და კიდევ უფრო შემოკლებით „კი". აქიდამ სჩანს, რომ სიტყვა „კარგი", უქარაგმოთ და ქარაგმიანი „კაი" და „კი" ერთი არიან. მაშასადამე იმერული „კიც" ისეთი დასტური ყოფილა, როგორც თქვენი „დიახი" და მაშ გაჭიაყელებულს სიტყვას დი..ახ..ს რითი ვერ უტოლდება იმერული „კი", მაშინ როდესაც დანიშნულება ორივეს ერთი და იგივეა და ძალაც ერთი აქვთ? ამ ნაირათვე შემოკლებული არიან: „ქვე" ე. ი. ქვეშე, „ყე" ე. ი. ყოველივე და სხვანი; მა-

სასამართლო ცვლილება შემოიღეს. ამის გამო ეს დღე, ითი წლის იუბილეი, პეტერბურღში სენატისა და სასამართლოების ჩინოვნიკებს და აგრეთვე ადვოკატებს უდღესასწაულებიათ. სენატორები და სხვა უმთავრესი მოსამსახურე პირები სენატის ეკკლესიაში შეკრებილან და პარაკლისი გადაუხდევინებიათ. ამას გარდა ასზე მეტი სასამართლოს ჩინოვნიკი და ადვოკატები პეტერბურღის მხატვრების კლუბში შეკრებილა... შეჯლიში გაუმართავთ, რამდენსამე იმათგა... სიტყვა წარმოუთქვამს და ბოლოს სტიპე... დია დაუნიშნავთ ერთი იმ ყმაწვილთაგან... თვის, რომელნიც ახალგაზდა დამნაშავე... ბის კოლონიაში იზრდებიან.

* * *

„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, მმართებლობას ისეთი კანონებისა და განკარგულების გამოცემა განუზრახავსო, რომელმაც ხალხს პირუტყვის ჭირისაგან მიცემულ ზიანი უნდა შეუმსუბუქოსო.

* * *

ეკატერინოსლავის ქალაქის გამგეობას მიუღია რა მხედველობაში, რომ, რადგანაც იმათ ქალაქისათვის, როგორც საზოგადოთ ყველა ქალაქისათვის, პრაქტიკული და ხელოვნური სწავლა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამისთვის გადაუწყვეტია: რეალური სასწავლებელი გავხსნათ ჩვენს ხარჯით და ამ სასწავლებლისათვის ყოველ წელიწადს 11,640 მანეთი გადავდვათო. ადგილობრივ ერობასაც თავის მხრით გადაუწყვეტია, რომ ჩვენც ყოველ წელს 4,500 მანეთს შემოვწირავთო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

ნაციონალური კრების სხდომები გაიხსნა ვერსალში ნოემბრის 18 (30). თითქმის ყველა დეპუტატები ჩამოსულან დეპარტამენტებიდამ და ამ სხდომას დასწრებიან. ეს პირველი სხდომა არაფრით არ ყოფილა შესანიშნავი და ყურადღების ღირსი. სამხედრო მინისტრმა რამდენიმე სამხედრო კანონის პროექტი შეიტანა კრებაში განსახილველად და დასამტკიცებელად.

მეორე დღეს კრების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების ამორჩევა ყოფილა; ისევ ძველი პრეზიდენტი, ბჰიუფე, ამოურჩევიათ ნაციონალური კრების თავსმჯდომარედ.

ბოლოს, მესამე დღეს, ელირსათ ის, რაზედაც ამ უკანასკნელ დროს ამდენს ლაპარაკობდნენ: ერთმა მინისტრმა ნაციონალურ კრებასთან მაკ-მაჰონის ეპისტოლე წაიკითხა. ამ ეპისტოლეს შინაარსი რუსულ გაზეთების დეპეშებშია დაბეჭდილი; იმაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ უცხო ქვეყნები დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთს მშვიდობიანობის დაცვა ჰსურსო; ვაჭრობა თან და თან უფრო მარჯვეთ მიდისო; დეპარტამენტებში მოგზაურობის დროს, მაკ მაჰონი დარწმუნდაო, რომ ხალხი მოუთმენელად მოელის საზოგადო უფლების განსაზღვრას და დაწესებასო. მაკ მაჰონი აცხადებს, რომ იმას არცერთი პარტიის მხარე არ უჭირავს. ყველას სთხოვს, დაეხმარონ საზოგადო წყობილობის აღდგინებაში. ყოველს შემთხვევაში მე შეურყეველად ავასრულებ ჩემ დანიშნულებასაო, ამბობს ბოლოს მაკ-მაჰონი.

გაზეთებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ იანვრამდი არც მმართებლობის ფორმაზე და არც საზოგადოთ შინაგან პოლიტიკაზე არ იქნება კრებაში სჯა და ბაასიო. მარცხენა მხრის დეპუტატების მომეტებულ ნაწილს ერთმანერთთან მოლაპარაკებაში გადაუწყვეტიათ, რომ რადგანაც ყოველი ამგვარი ბაასი ნაციონალურ კრებაში ხალხსაც აღელვებს და ვაჭრობას დასცემსო, ამის გამო იანვრამდი, სანამ ქრისტეშობისა და ახალწლის დღესასწაულები არ გათავდება, მანამ ამგვარ საგნებზე სჯას ნუ ჩამოვაგდებთო.

თუ ეს ხმა გამართლდა, მაშ იანვრამდი საინტერესო სხდომებს არ უნდა მოველოდეთ.

— ნაციონალური კრების გახსნის წინა კვირაში საფრანგეთში მუნიციპალური ამორჩევები იყო და პარიჟში კი ეს ამორჩევები სწორეთ კრების გახსნის წინა დღეს იყო. გაზეთებში დაბეჭდილი ცნობებიდამ სჩანს, რომ ამ ამორჩევებში რესპუბლიკურ პარტიას გაუმარჯვნია: თითქმის ყველა ქალაქების გამგეობაში თავის წარმომადგენლებად მცხოვრებლებს ისეთი კაცები ამოურჩევიათ, რომელნიც გამოჩენილნი არიან თავიანთი რესპულიკური აზრებით და რომელთაც არჩევას რესპუბლიკური პარტიის კომიტეტები ურჩევდენ. განსაკუთრებით პარიჟში, ლიონში და მარსელში თითქმის სულ რადიკალური რესპუბლიკელები არიან არჩეულნი მუციციპალურ წევრებად. პარიჟის ქალაქის გამგეობაში სულ 80 წევრია—თითო თითო უბნისთვის. ამ რიცხვიდამ 63 რადიკალური რესპუბლიკელები არიან; დანარჩენ უბნებში ხელმეორეთ უნდა იქნეს კენჭის-ყრა; და, როგორც ამბობენ, ამათშიაც ნახევარზე მეტი რესპუბლიკელი კანდიდატები გაიმარჯვებენო.

— ამას წინათ პარიჟში გაასამართლეს ერთი გამოჩენილი ბონაპარტისტი, სახელად ძლემან დჰუვერნუა, რომელსაც აბრალებდნენ, რომ, როდესაც პარიჟში მყოფის ერთი ესპანიის ბანკის დირექტორად იყო, სხვა და სხვა ცუდ-კაცობა ჩაიდინა, ბანკის საქმე უკანონოთ მიჰყავდაო და ხალხს ფულებს სტყუებდაო. ყველა ამ დანაშაულობისათვის ძლემან დჰუვერნუას ორი წლით საპყრობილეში ჩამწყვდევა და 1000 ფრანკი ჯარიმის გადახდევინება გადაუწყვიტეს.

იცით, ვინ იყო ერთ დროს ეს ძლემან დჰუვერნუა? ის იყო გამოჩენილი ბონაპარტიელი ჟურნალისტი და ნაპოლეონის მინისტრი...

## ოსმალეთი

ევროპის ოსმალეთში და საზოგადოთ მცირე აზიაში, როგორც სტამბოლის გაზეთებში იწერებიან, ამ უკანასკნელ დროს საშინელი შიმშილი გაჩენილა ასე, რომ განსაკუთრებით მცირე აზიის ზოგიერთს ქალაქებში და სოფლებში ლუკმა-პურს მოკლებული ხალხი თურმე შიმშილით იხოცება.

ამავე გაზეთებში იწერებიან, რომ ხონთქრის უფროსმა მეუღლემ თავის ჯიბიდამ ექვსასი მილიონი შესწირა ახალი მეჩითის ასაშენებლათაო...

## საქართველოს ცხოვრებიდამ

### სტატია V

### დავით სოსლანისა და დავით ნარინის გამეფება

1237 წელს მეფე რუსუდანმა თავისი ძმისწული, ლაშა-გიორგის შვილი, დავით სოსლანი კესარიაში გაგზავნა და იქ იმის სიძემ გაიატ-ედინმა (უიასდინმა) დაამწყვდია ციხეში. მერმე ამავე წელს თვითონ შეუგირდა მონგოლებს და სთხოვა, რომ ჩემს შვილს საქართველოში მეფობა დაუმტკიცეთო. საქართველოში მყოფ მონგოლების ნოინებმა ამისათვის ის უარაყურუმში (ჩინეთში) ყაენს გაუგზავნეს. 1247 წელს, მეფე რუსუდანი რომ მოკვდა, 1251 წლამდე საქართველო უმეფოდ დარჩა და ამის გამო ექვსი წლის განმავლობაში მეფის მაგიერობას ეგარსლანი ეწეოდა.

საქართველოს მთავრებს და თავადობას ძლიერ „ჰრცხვენოდათ მთავარ ყოფად მათზედა ეგარსლანისი, არა მათგან უგვარიანესისა კაცისა.“ ამისათვის შეიყარნენ საქართველოს მთავარნი და მოინდომეს ლაშა-გიორგის შვილის დავით სოსლანის გამეფება. იმათ უთხრეს ნოინებს:

„ვინაიდგან მეფე ჩვენი ნარინ დავით წარავლინეთ ყაენს წინაშე, არა უწყით თუ რა შეემთხვია-დედა მათი რუსუდან გარდაიცვალა და აღარა არს ნათესავი მეფეთა ჩვენთა, და ჩვენ ურთიერთის დაუმორჩილებელნი ვართ. და არა ეგების თუმცა დავემორჩილნეთ ვისმე, უკეთუ არა იყოს ნათესავი მეფეთა.“

ამისათვის გთხოვთ ლაშას-შვილი დავით, რომელიც კესარიაში არის დამწყვდეული, მეფედ დაგვიყენოთო. ნოინები დათანხმდნენ. გაგზავნეს უიასდინთან ელჩად ერთი ნოინი, სახელად ანგურაგი, და თან გააყოლეს ქართველებისაგან ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი.

ამ სახით, შვიდი წლის შემდეგ, ესე იგი 1244 წელს, გაანთავისუფლეს დავით სოსლანი და მოიყვანეს საქართველოში.

ამავე წელს საქართველოს მმართველმა მონგოლებმა დავით სოსლანი რუსეთში ბათო ყაენს გაუგზავნეს და თან გააყოლეს შანშეს ძე ზაქარია, ვარამის ძე ალბუღა და

---

გალითად, თუ ერთს კაცს აგზავნიან სადმე მთიული, იტყვის: გავგზანე და თუ მრავლობითი რიცხვით უნდათ სთქვან, რომ ბევრი გავგზავნეო, მაშინ იტყვის: გავგზავნე—ყ. ე. ი. ყველა გავგზანეო.

ნ ე ბ ი ე რ ი. „იმე“ რაღა არის?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. თუ კი აჰმე! შეიძლება ითქვას, „უიმე“, ოჰმე! რატომ „იჰმე“ ანუ იმე აღარ ითქმის?

ნ ე ბ ი ე რ ი. „ვაჟო“ რაღა სიტყვაა?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. ის რაც „შვილო ანუ ბიჭო“!.. ბიჭო არის ფარსული ლექსი, ნიშნავს ჩვენებურათ „შვილოს“ და თუ კი თქვენ ბიჭოს ხმარობთ ე. ი. შვილოს, რატომ ჩვენც არ ვიხმაროთ უფრო ნამდვილი სიტყვა „ვაჟო“, მაშინ როდესაც ეს ნიშნავს შვილს მამრობითი სქესისას?..

ნ ე ბ ი ე რ ი. თქვენ რომ ცხვირის დაცემინებას ცხიკვებას ეძახით რა არის?

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. ის რომ, ცხვირის დაცემის დროს კაცი ცხვირიდამ უშვებს ისეთ ხმას, რომელშიდაც ისმის „ცხი“ და აქედამ ხმის მიბაძვით შესდგა ლექსი „ცხიკვება“.

ნ ე ბ ი ე რ ი. კარგი და „თვლემს“ მაგიერ რომ „ყვინთავს“ ამბობთ, კარგია!

მ ბ რ უ ნ ა ვ ი. რატომ არა?—ჩვენ ორივეს ვხმარობთ, როგორც „ყვინთავს“ ისე „თვლემას“; თვლემას მაშინ ვიტყვით, როდესაც კაცს თავი უძევს რამეზედ და მარტო თვალებსა ჰხუჭავს, და როცა ზის, თავს ვეღარ იმაგრებს ძილ-მოსვლაზედ და ხშირად ჩ ჰკიდებს ხოლმე თავს, იმას ვეძახით „ყვინთავს“. აი ეს საიდამ წამოდგა: როდესაც წყლის ფრინველი წყალში ჩაჰკრავს უეცრად თავს, იმას ყვინთი ჰქვიან და მის შედარებით ძილ-მოსული კაცი რომ თავს ჩაჰკიდებს, ყვინთავსო იტყვიან, ე. ი. როგორც ბატი ან იხვი წყალში, ისე ჩაჰყოფს ხოლმე ძირს თავსაო.....

მ ს ა ჯ უ ლ ი. თუ შეიძლებოდეს გაჩუმდით!.. აქ მაგგვარი ბაასის დრო აღარ არის. გარედამ რაღაც ხმაურობა მოისმის და უმჯობესია ჯერ იმას დაუგდოთ ყური...

(ყველანი ზეზე წამოდგებიან და უგდებენ ყურს მესტვირის ხმას. მესტვირე სტვირს უკრავს და ზედ ამღერებს:)

მუხრანიდამ ჯარი მოდის, წყალივითა იწყო დენა.
მუხრან-ბატონი სარდლათ ჰყავს, უნდა თავის გამოჩენა.
ქართლ-ბატონს შემოწყრომია, უფიცნია მაღლა ზენა:
რომ მოყვრობით არ დაზოგავს, უნდა ამოგლიჯოს ენა!
მისა რისხვა და მუქარი ქართველ-ბატონს მოეხსენა.
გაჯავრდა დათან გაჰკვირდა: „რა გვაქვს საჩხუბარი ჩვენა?
თავის გვარი როგორ დაჰგმო, რჯული როგორ შეაჩვენა?
რა ფათერაკს შეხვდომია! რა ეშმაკი მოეჩვენა...
რომ სულ უმიზეზოთ შეუთავს და აღარც ჩვენ მოგვასვენა?
შემიგროვეთ, რაც მყავს ჯარი, მივეგებო ცხენ და-ცხენა
რომ გაჩუმდეთ, არ ივარგებს, რადგანც უნდა ჩვენი წყენა!“
ასე ბრძანა ქართლ-ბატონმა, და ზედ ცხენი მიაჰენა!
მოეგება მომავალსა, თავს უჩვენებს აწ დამხედურად.
მოაძახა: „მოღალატევ! ფუ, ვერ გხედავ ძმასა ძმურად.
გული გესლით აგივსია, ნათესავის დასამდურად!
მოძმის სისხლში ხელს თუ ისვრი, მაშ დაგხვდები მეც მეფურად.
სასიკვდილოდ გაგიმეტებ, ნულა გიკვირს ჩემგან ნურად.
ერთს ანდაზას მოგაგონებ, საგულისხმოდ იხვენ ყურად!
ძმის გაწირვა, მტრის მიდგომა არ გეთვლება სამსახურად.
ტყუილა ნუ ვსწყვეტთ მაგდენ ჯარსა, ცუდად სისხლის მოსაწყურად:
თუ გულს გერჩის, ჩვენ შევებათ ერთმანეთსა, სჯობს, კაცურად.“
მუხრან-ბატონს გაეცინა, და უთხრა:“ ეგ რა სჩმახეო!
მეც ქვეყნის ტოლი კაცი ვარ, და სუსტად ვით დამსძრახეო?
რაც დღეს შენ ჭირი მოგადგეს ის შენს თავსვე დასძახეო.
რათ მაგზავნიდი სხვა ქვეყნად, რათ შემიცვალე სახეო?
იქ მე მასწავლეს ხერხები და ათას გვარი მახეო,
ვერ შემაშინებ მუქარით, გირჩევ, სხვა ვინმე ჰფახეო,
თორემ ვერ მომაშლევინებ, რაც გულით განვიძრახეო.
სასაცინოა ეგ თქვენი რაღაც სიტყვები მკვახეო...
უმჯობესია რომ დამრჩე.. სხვა ენით დაიძახეო!“
ქართლ-ბატონს ფერი ეცვალა, შეიქნა დაღონებული!
რა ექნა, ჯარი არ ჰყვანდა; მან დაუჩაგრა მას გული,
რომ მომხრეთ ვერვის ხედავდა, ყველასგან დავიწყებული!
დაჯდა, საკინძი შეიხსნა, მოსთქვამდა გამწარებული:
„ვაი, გავჰკოტრდი, კრეზივით მე! ერთს დღეს გამდიდრებული.
და აწ სიცოცხლე რათ მინდა, დამმარხეთ გაშავ-დღებული!“
ამ მოთქმაზედ მთლად შეძრა ქართლ, კახეთი, იმერეთი,
მოვიდნენ და მოახსენეს: „ბატონო, დაგვეცა რეტი;
მართალია, თქვენ მომხრეთ დღეს არ ვარგივართ ჩვენ არც ერთი,
მაგრამ შვილებს გამოგიზდით, თუ ხელს მოგვიმართავს ღმერთი.
მანამდი კი მოითმინეთ, ჰირს როგორმე გაუძელით;
თორემ ჩვენ ყველას ყელს დაგვჭრით, და თქვენც გამოიჭრით ხელით;
სჯობს, ჯერეთ ცოტას დასჯერდით, იმერლებს იახელით!
მართალია, მათგან შველას და კურნებას მთლათ ნუ ელით,
მაგრამ არაობას ხომ სჯობს, რომ დავრჩებით ცალ-ულელით?!.“

აკაკი.

სარგის თმოგველი. ბათომ ზაქარია და ალ-ბუღა თვისთან დაიჭირა, დავით და სარგის თმოგველი კი მანგუ-ყაენს ყარაყორუმში გაუგზავნა. დავით სოსლანი მივიდა რამდე-ნიმე ქართველით; მაგრამ მეფობის მიღება გაჭირდა, ამისათვის რომ ათაბაგს ავაგს, ბრი-გოლ სურამელს, გამრეკელს და ამირეჯი-ბს ზეშქენს, რომელნიც დავით ნარინის თანა-შეზრდილნი იყვნენ, მეფედ დავით ნარინი ჰსურდათ; სხვებს კი დავით სოსლანი. ამ სა-ხით საქართველოს თავადნი და მთავარნი ორ კერძოდ გაიყვნენ. დავით ნარინის პარ-ტიის მოთავე ათაბაგი ავაგი იყო, დავით სოსლანის პარტიისა სარგის თმოგველი. ერ-თის სიტყვით, იმერლობას რუსუდანის შვი-ლი ნარინ დავითი სურდა მეფედ, აღმოსა-ვლეთის საქართველოს ლაშა გიორგის შვი-ლი დავით სოსლანი.

შემდეგ დიდი ხნის საუბრისა და რჩევისა, ყარაყორუმიდგან გამოგზავნეს საქართველო-ში ავაგი, რომელსაც უნდა შეეტყო ადგი-ლობრივ: რას ამბობდნენ და ორში ვისი გამეფება უნდოდათ. ავაგს საქართველოს სამზღვარზე მიეგებნენ ყველა თავადნი და წარჩინებულნი, თვით შანშე და ეგარსლა-ნიც ამათში ერივნენ. ის რომ მიუახლოვ-დათ, მომგებნი მაშინვე გადმოხდნენ ცხენე-ბიდგან და თავი დაუკრეს, მაგრამ შანშე და ეგარსლანი ცხენებზედვე იყვნენ. ეგარსლა-ნი, რადგან არ იყო თავადი-შვილის შთამო-მავლობითა, ამისთვის ძლიერ ეწყინათ იმისი ცხენიდამ არ ჩამოხდომა და გაწძვინებულმა ავაგმა ჰხეთქა თავში მათრახი; მერმე უბრ-ძანა იმავე კაცებს, რომელნიც ეგარსლანის ხელ-ქვეითნი იყვნენ, გადმოეღოთ ცხენიდ-გან. ის მაშინვე ძირს დასცეს და

„პატივისაგან უპატიო ჰყვეს, და განძრცვილი გა-ნაძეს, და მიერიდგან უპატიო იქმნა და საცინელ.“

ამ გვარად საქართველოს თავადობამ, რო-მლის მოთავედ ამ საქმეში იყვნენ შანშე და ავაგი, გააგდეს ეჭკაცი და პატიოსანი ბაკურციხელი (კახელი) კაცი სამხედრო ას-პარეზიდგან.

შემდეგ თავადობამ მოილაპარაკა მეფის ამორჩევაზე ორთაგან ერთისა—დავით სოს-ლანისა ანუ დავით ნარინისა. რადგან ორი-ვე მეფობის მეძიებლებს ძლიერი პირებისა-გან შემდგარი პარტიები ჰყვანდათ, ამისათვის, რომ უფრო დიდი უთანხმოება არ მოხდეს, მოინდომეს ორივეს გამეფება; მაგრამ, სამ-წუხაროდ, მაინც და მაინც ვერ გადურჩნენ უთანხმოებას და ერთმანერთის ქიშპობას. 1251 წელს იმათ ორივეს მონგოლებმა მის-ცეს საქართველოში მეფობა, და ისინი მო-ვიდნენ და დასხდნენ თფილისის ქალაქში. სამი წლის განმავლობაში ისინი თანხმობით სცხოვრებდნენ; მერმე კი დავით სოსლანის პარტიამ დავით ნარინი დაატყვევებინა. მაგ-რამ ის იმათ გამოეპარათ, მოვიდა იმერეთ-ში და აქ გამეფდა.

რა მოხდა ამის შემდეგ—ამაზე მე შემდეგ სტატიაში ვილაპარაკებ, რადგან ამის ლაპა-რაკი საჭირო არის მე-XIII საუკუნის ქარ-თველების ცხოვრების კარგად შესატყობად.

ისგილო ჯანაშვილი

# ნარევი

შარშან ამ დროს ერთს მდიდრულად მორთულ ვენის სასტუმროში ვიღაც მოგ-ზაური ჩამოხტა, რომელმანც სასტუმროს პატრონს გამოუცხადა, რომ მე თავადი დი-მიტრი ჭავჭავაძე ვარო. ამ მოგზაურმა დაუ-წყო ყველას ჩივილი, რომ გზაზე ვიღაც ყმაწვილ კაცს გავეცანი და გამქურდაო, 50,000 მანეთის ნივთეული მომპარაო. ორი კვირის შემდეგ, ეს კაცი სადღაც გაჰქრა; არც სასტუმროში ვალი გადაუხდია, არც ერთი, არც მეორე. ამ დროსვე ერთს ბერ-ლინის საუკეთესო სასტუმროში დადგა ერ-თი კაცი, რომელიც ძალიან მდიდარს ჰგავ-და, რადგან ბევრ ფულს ხარჯავდა და ქეი-ფიანად ცხოვრებდა. ერთი კვირა აქ გაატა-რა და მერე აქედამაც გაიპარა. შემდეგ ამ ჭავჭავაძეს ლონდონში ამოეყო თავი; იქაც დიდკაცებს გაცნობოდა, კოროლევის სასახ-ლეში მიეღოთ. პირველს სასტუმროში დამ-დგარიყო, ვიღაცაები დაეტყუილებინა, რომ რუსის თავადი ვარ, ბევრ ფულს მოველი ამ ცოტა ხანში და ეხლა კი შემომელია, მასესხეთო; ესესხნათ. მაგრამ აქედამაც მა-ლე გამქრალიყო. ბოლოს რუსეთში დაბ-რუნებულა, რამდენიმე სულელისათვის კი-დევ გამოუტყუებია ფულები. მაგრამ სულ ბოლოს კი მოსკოვში დაუჭერიათ და აღ-მოჩენილა, რომ არც თავადი ყოფილა, არც ჭავჭავაძე; ვიღაც გადამდგარი უნტერ-აფი-ცერი ლინევი ყოფილა.

თითქო მუქთი ფულების მჭამელებად ნამ-დვილი ქართველები არ ეკმაროდეთ; ცრუ-ქართველები რაღათ გვეჭირებოდა!..

* * *

ერთს პარიჟის გაზეთში სწერენ, რომ ჩვენს ქალაქში მცხოვრებ კარლისტებმა სა-უკეთესო ოქრო-მჭედელს დონ-ალფონსი-სათვის ძვირფასი გვირგვინის გაკეთება შეუ-კვეთიესო. მეორე პარიჟისვე გაზეთი მახვი-ლობს ამის თაობაზე, რომ გვირგვინის შოვ-ნა ადვილიაო, ოღონდ დონ-ალფონსმა ეს-პანიის ტახტი ჩ იგდოს ხელშიო; ტახტის შოვნაც ადვილიაო, ოღონდ ხალხს დაუბ-რმაოს თვალიო...

* * *

პარიჟში 28 ახალგაზდა იაპონელი ცხოვ-რობს ამ ჟამად, რომელნიც თავიანთ იმპე-რატორისაგან (მიკადოსაგან) არიან გამოგ-ზავნილი სწავლისათვის. თითქმის ყველანი ერთსა და იმავე სწავლას (ინჟინერობას) ადგანან და როცა კარგათ შეისწავლიან, მე-რე ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა და-ბრუნდნენ და იქ თვით საქმეში გამოიყენონ, რაც სხვაგან სწავლა მიუღიათ.

საფრანგეთს გარდა, ამერიკაში, რუსეთ-ში, გერმანიაში, ინგლისში და სხვა ევრო-პის სახელმწიფოებშიაც არიან იაპონელები გამოგზავნილნი სასწავლებლად. ამბობ, სულ ყოველგან ათასი ყმაწვილი კაცი ს-ვლობს ეხლაო.

* * *

მმართებლობის განკარგულების ძალით ახალი წლიდამ პეტერბურღში ყოველი ძაღ-ლის თავზე ცალკე გადასახადი იქნება და-ნიშნული. ამისათვის ამ ჟამად პეტერბურღ-ში ძაღლების აღწერაა (ე. ი. ითვლიან: ვის რამდენი ძაღლი ჰყავს).

* * *

რიგაში დიდი ხანია დაფუძნდა ერთი სა-ზოგადოება, რომელიც თავის ხარჯით სა-ხალხო იაფ წიგნებს ავრცელებს და შკო-ლებს მართავს. ამ საზოგადოებას ეხლა ისე-თი შკოლის გამართვა განუზრახავს, რო-მელშიაც მარტო ბრმა ყმაწვილებს მიიღებენ და იმათ ასწავლიან წერა-კითხვასა და ანგა-რიშს. იქნება მკითხველმა არ იცოდეს, რომ ბრმებისათვის ისეთი ამობერილი ასოების ანბანია შედგენილი, რომლითაც იმათ ას-წავლიან ხოლმე წერა-კითხვას ხელის თითე-ბის შეხებითა. ანბანს გარდა, იმათთვის სა-ხარება და სხვა რამდენიმე წიგნია სულ ამ-გვარი ამობერილი ასოებით დაბეჭდილი.

# განცხადებანი


იბეჭდება და ცოტა ხანში გამოვა **მოძრავი ასოები.** სრული ანბანი, ზოგი ასოები განმეორებით ერთს ფურცელზედ იქნება დაბეჭდილი. ყიდ-ვა შეიძლება თფილისში: „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბიბ-ლიოთეკაში ექვთიმე ხე-ლაძის სტამბაში, ვართანო-ვის მაღაზიაში. ქუთაისს, ლორ-თქიფანიძის ბიბლიოთეკაში, ო-ზურგეთში: კაკაბა გოგვაძის დუ-ქანში. სხვა ქალაქებიდამ უნდა და-იბარონ შემდეგი ადრესით: Въ кон-тору редакціи газеты „Дроэба.“

ფასი ერთი შაური.


**რვა თვის ანგარიში**

**ოძისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა.**

1874-ს წლის 21-ს მარტიდამ 21-ს ნოემბრამდის ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას სამოცდა თვრამეტი კაცი.

ა.) შემოსავალი

1.) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული . . . . . . 1553 მ. 80 კ.
2.) სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნებელთაგან . . 1500 მ.
3.) ამხანაგობამ ისესხა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადო-ებისაგან და კერძო პირთაგან. . 2110 მ.
4.) სასარგებლოდ შეტანილია კერძო პირისაგან . . . . . . 40 მ.
5.) სარგებელი აღებული გასესხებუ-ლის ფულისაგან . . . 335 მ. 40 კ.
6.) დაბრუნდა სესხი ახალ ვადა მი-უცემელი . . . . . . 1115 მ.

სულ შემოსულა 6,654 მ. 20 კ.

ბ.) გასავალი

1.) გასესხებულა . . . . . . 5,580 მ.
2.) შეტანილია თფლისის საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებაში... 150 მ.
3.) სარგებელი მიცემული ნასესხზედ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . 42 მ. 46 კ.
4.) დახარჯულა გამგეობაზედ. . 315 მ. 50 კ.
5.) სარგებელი დაბრუნებული ვადაზედ წინათ გარდახდილის ნასესხისა . . 3 მ. 50 კ.

სულ გასულა 6,091 მ. 46 კ.

გ.) კასსა.

1.) შეტანილია ტფილისის სავაჭრო ბანკში . . . . . . . . 100 მ.
2.) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირიცხა წეს-დების თანახმად. . . . . . 5 მ. 30 კ.
3.) ნაღდი ფული არის კასსაში . . 457 მ. 44 კ.

სულ 562 მ. 74 კ.
გასავალი არის 6,091 მ. 46 კ.

ერთიანი ჯამი 6,654 მ. 20 კ.

გამგენნი: { მ. ქადაგოვი. / გ. ოსეფოვი.

22 ნოემბერს, 1874 წ.
ოძისი.

**სამი თვის ანგარიში**

**თიღვთის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა**

1-ოქტემბრიდამ 1-ს დეკემბრამდე 1874 წლისა

ამხანაგებათ ირიცხებიან 182 პირნი.

**1, შემოსავალი:**

ა., ამხანაგობისაგან არის შემოტანილი წილი ფული. . . 2581 მ.—80 კ.
ბ., სარგებელი აღებული გასესხებული ფულისაგან . . . . 162 მ.— „
გ., სესხი . . . . . . 1150 მ.— „

სულ . . . 3893 მან. 80 კაპ.

**2, გასავალი**

ა., გასესხებული. . . . 2700 მ.— „
ბ., დახარჯული გამგეობის გამართვა-ზედ. . . . . . 196 მ.—80 კ.

სულ გასულა. . 2896 მ. 80 კ.

**3, კასსა**

ა., შეტანილი არის თბილისის სავაჭრო ბანკში სარგებელზედ 27 ნოემბრიდამ ამა წლისა . . . . . 800 მ. — „
ბ., ნაღდი ფული არის კასსაში 397 მ.— „

სულ . . . . 1197 მან. — „

გამგებელნი . . . { ვ. დოდაევი. / პ. ბაქრაძე. / თ. ლ. ჯანდიერი.


ნინო კოსტანტინეს ასული **მამაცოვისა** შვილებით, გულითადის მწუხარებით აცნობებს თავს მეუღლისა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის **იოსებ ქრისტეფორეს ძისას**, გარ-დაცვალებას, უძორჩილესად სთხოვს ნათესავებს და ნაცნობებს, მობძანდნენ იმის გვამის გასვენებაზე ბაქრაძის სახ-ლიდამ ალექსანდროვსკის ეკკლესიაში კუკიაში, ნიკოლაევსკის ქუჩაში, 9 სა-ათზე დილით, 8 ამ დეკემბერს.


| რკ.გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ხუთშაბ. საღ. 6 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—ორშაბათს, ღამით.
ოდესას—სამშაბათს, გათენებისას
გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ—სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ—კვირა შუაღამეს.

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . | 4 | — |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ და შ.ბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან—ორშაბ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)
გ) გორიდამ.
ყოველგან—ორშაბ. ოთხშაბ. და პა-რასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან—ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 1 თკტომბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 180 | 75 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 175 | 95 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის (5½) | 83 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . | 80 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 230 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 665 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ | 263 | — |
| მოსკოვისუზრ. მყოფი საზ | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 5 დეკემ. | | |
| პური ბანჯისა . . | 1 | 10 |
| ქერი. . . . . | — | 65 |
| ბამბა ერევნისა . . | 4 | 50 |
| —ამერიკისა . | 6 | 80 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 6 | 30 |
| —თარაქამისა . . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური . | 3 | — |
| ქონი . . . . | 4 | 60 |
| ქონის სანთელი . . | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა . | — | 45 |
| —ცხვრისა . . | — | 55 |
| სპირტი . . . . | 7 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 55 |
| —ფხვნილი . . | 7 | |
| ყავა გრგვალი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 6 | 50 |
| ოქრო . . . | 5 | 90 |

**„დროების“ ფოშტა**

— მ—ეს. ამბავს იწერებით, მაგრამ არ ამბობთ არც იმას, თუ სად მოხდა ეს ამბავი, ან როდის. ამას გარდა ბევრჯელ გვითხოვნია ჩვენი შემთხვევით თანამშრომელებისათვის, რომ რედაქციისათვის იმათი ნამდვილი სახელის ცოდნა საჭიროა.

— ნ—ანს, მ. ე—ს. თქვენი სტატია საინტერესოა და ერთს შემდგომ ნომერთაგან-ში დაიბეჭდება. ენას გაშალაშინება დასჭირ-დება. გთხოვთ, კიდევ მოიწეროთ, თუ რამე იცით ან თუ რასმე შეიტყობთ თქვენთან მო-სამზღვრე ქართველებზე.

— მ—ს, ს—ს. თქენი თხოვნისამებრ, გაცნობებთ, რომ თქვენგან გამოგზავნილი რვა მანეთი მოგვივიდა, თუმცა საჭირო არ იყო ამის შეტყობინება, რადგან გაზეთის მიღებაც დაგარწმუნებდათ, რომ ფულები და მოთხოვნილება მოგვსვლია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Декабря 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.